ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31223215**
თარიღი: **17/11/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2021 წლის 3 ნოემბრიდან ერთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიში

2021 წლის ნოემბრის თვიდან მიმდინარე წლის ნოემბრამდე საკრებულოს რეგლამენტის და კომისიის დებულების დაცვით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მოწვეულ იქნა 21 სხდომა, რომელზეც განხილულ და მოსმენილ იქნა, როგორც სამუშაო გეგმით გათვალისწინებული, ასევე მიმდინარე საკითხები. აქედან ერთი სხდომა ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასთან ერთად, რომელზეც განხილულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (პროგრამული კოდი 02 11) პროგრამის განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2022 წლის ბიუჯეტი განხილულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების სხდომებზე. ვინაიდან განხილვისას, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის მიმართ მკვეთრი და კრიტიკული შენიშვნები არ გამოთქმულა, ამიტომ კომისიამ არ ჩათვალა საჭიროდ მერიისთვის უკან დაებრუნებინა 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი და იგი 2021 წლის 25 ნოემბრის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

2022 წლის აპრილის თვეში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის წლიური პარამეტრების მიხედვით შემოსულობების სახით მიღებულ იქნა 23103250 ლარი, პროგნოზით გათვალისწინებულზე 854948 ლარით მეტი, გეგმა შესრულდა 103,8 %-ით, მათ შორის: გადასახადები შესრულდა 106,2 %-ით, ნაცვლად პროგნოზით გათვალისწინებული 9211100 ლარისა, შემოსულ იქნა 9778504 ლარი. სხვა შემოსავლები შესრულდა 110,9%-ით, პროგნოზით გათვალისწინებულ 3035740 ლარისა, შემოვიდა 3365295 ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლები შესრულდა 150,8%-ით, ნაცვლად პროგნოზით გათვალისწინებულ 318119 ლარისა, შემოვიდა 479659 ლარი. გრანტები მიღებულ იქნა 9479792 ლარი, ნაცვლად 9683343 ლარისა, პროგნოზით გათვალისწინებულის 97,9%-ი. აქედან, გრანტი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან 50000 ლარი (წლიური გეგმის 100%-ი), მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 616461 ლარი (წლიური გეგმის 83,5%), საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 5615068 ლარი (წლიური გეგმის 100,2 %-ი). სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დასაფინანსებლად

748000ლარი (წლიური გეგმის 100%-ი), სპეციალური ტრანსფერი - სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად 2426643 ლარი (წლიური გეგმის 98,1%-ი). საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად 60000 ლარი (წლიური გეგმის 85,7%).

სულ საფინანსო წლის პერიოდში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად როგორც შემოსავალის, ისე ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 13652,6 ათასი ლარით. აქედან ინფრასტრუქტურული პროგრამების დაფინანსებაზე გაიხარჯა 9480000 ლარი. თავისუფალმა ნაშთმა კი შეადგინა 3295,0 ათასი ლარი.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებები სრულად იქნა შესრულებული.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია დროულად ახდენს რეაგირებას ყოველ შემოსულ წერილზე. აქტიურად თანამშრომლობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მუშაობის პრაქტიკიდან გამომდინარე კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ბიუჯეტის პარამეტრები დროულად იქნას განხილული და ვალდებულებები აღებული იქნას რეალური შემოსულობების საფუძველზე. ასევე გაუმართლებელი შემოსავლების დაგეგმვის ხარჯზე არ მოხდეს ბიუჯეტით დამატებით ვალდებულებების აღება, რაც მიგვიყვანს საბიუჯეტო პროცესის დარღვევამდე.

ბიუჯეტის პარამეტრების და პრიორიტეტების დაგეგმვისას მომავალი წლის ბიუჯეტი სწორად და მიზანმიმართულად უნდა იქნას განსაზღვრული.

კომისია მიმდინარე წელს აგრძელებს აქტიურ და ეფექტურ მუშაობას.

პატივისცემით,

ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი